# საჯარო სამართლის იურიდიული პირი
# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
# ბრძანება № 01-08/142

ქ. ბათუმი

29 ოქტომბერი, 2018 წ.

## ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 და 25-ე მუხლების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 13-14 ნოემბერს ჩატარებული არჩევნების შედეგად ახალარჩეული წევრების უფლებამოსილების ცნობის თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 25 ნოემბრის №01 გადაწყვეტილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგიერთი ფაკულტეტის რეორგანიზაციის თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის №1 გადაწყვეტილების, ,,2018-2019 სასწავლო წლიდან ბსუ-ს ზოგიერთი ფაკულტეტის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 21 აგვისტოს N01-08/104 ბრძანების და იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს და ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 24 სექტემბრის სხდომის ოქმებისა და ,,ბსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოში 2018 წლის მორიგი არჩევნებისათვის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა ასარჩევი რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 29 ოქტომბრის N 01-08/141 ბრძანების, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურისა და სასწავლო პროცესის დეპარტამენტის დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. გამოცხადდეს ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის არჩევნები ბსუ-ს ფაკულტეტებიდან და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებიდან შემდეგი რაოდენობის წარმომადგენლების (25 წევრი - 15 პერსონალი, 10 სტუდენტი) ასარჩევად:

ა) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან - 2 აკადემიური თანამდებობის პირი და 2 სტუდენტი;

ბ) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან 2 აკადემიური თანამდებობის პირი და 2 სტუდენტი;

გ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტიდან - 2 აკადემიური თანამდებობის პირი და 2 სტუდენტი;

დ) ტექნოლოგიური ფაკულტეტიდან - 2 აკადემიური თანამდებობის პირი და 1 სტუდენტი;

ე) ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტიდან - 2 აკადემიური თანამდებობის პირი და 1 სტუდენტი;

ვ) ტურიზმის ფაკულტეტიდან - 1 აკადემიური თანამდებობის პირი და 1 სტუდენტი;

ზ) იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან - 1 აკადემიური თანამდებობის პირი და 1 სტუდენტი;

თ) თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებიდან (ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტიდან, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტიდან და აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტიდან) - ერთი წარმომადგენელი.

2. წარმომადგენლობით საბჭოში ფაკულტეტებიდან, როგორც აკადემიური თანამდებობის პირი, შესაძლებელია აირჩეს ამავე ფაკულტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი (გარდა დოქტორანტისა).
3. წარმომადგენლობით საბჭოში დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებიდან შესაძლებელია აირჩეს ამ ერთეულის სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი/უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ან მეცნიერი თანამშრომელი);
4. **კანდიდატებმა საარჩევნო კომისიაში უნდა წარადგინონ:**

   ა) განცხადება;

   ა) პირადობის მოწმობის ასლი;

   გ) ცნობა ბსუ-ში დაკავებული თანამდებობის შესახებ (უნდა წარმოადგინოს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელმა);

   დ) ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შესახებ (უნდა წარმოადგინოს ბსუ-ს სტუდენტმა).
5. **წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნები ჩატარდეს:**

   ა) ბსუ-ს ფაკულტეტებზე - **2018 წლის 13 ნოემბერს** (კენჭისყრა დაიწყოს 10 საათზე და დამთავრდეს 17 საათზე);

   ბ) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევით ერთეულებში - **2018 წლის 14 ნოემბერს** (კენჭისყრა დაიწყოს 10 საათზე და დამთავრდეს 17 საათზე);
6. **კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს 2018 წლის 30 ოქტომბრიდან – 2018 წლის 08 ნოემბრის ჩათვლით,** უქმე დღეების გარდა, 10 საათიდან 16 საათამდე ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში (მისამართი ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ №35/32, პირველი კორპუსი, ოთახი N13);
7. ბსუ-ს საარჩევნო კომისიას ეთხოვოს არჩევნების ორგანიზება-ჩატარებისათვის ბსუ-ს წესდებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

8. ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანებსა და ინსტიტუტის დირექტორებს დაევალოთ არჩევნებისთვის შესაბამისი ოთახების გამოყოფა და ამომრჩეველთა სიების წარდგენა ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში 2018 წლის 5 ნოემბრის ჩათვლით.
9. ბრძანება ჩაბარდეს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, სტუდენტურ თვითმმართველობას, ფაკულტეტებს, ინსტიტუტებს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტის დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს
10. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს საინფორმაციო დაფასა და ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე (ველში - კონკურსები).
11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**რექტორი, ასოცირებული პროფესორი** **მ.ხალვაში**